ეთიკის კომისიის

რეკომენდაცია

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.02.23

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: №002/23

შეკითხვის ავტორი: ადვოკატი /სიითი №/

I შეკითხვა:

შპს „ი“-ს გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში ჩართულია მრავალი კრედიტორი. ამ კრედიტორთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს ადვოკატი „ვ“, ხოლო კრედიტორებიდან 5 კრედიტორს - ადვოკატი „კ“. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პერიოდში შპს „ი“- მ სარჩელი შეიტანა შპს „ს“- ს წინააღმდეგ და მოითხოვა დავალიანების თანხის დაკისრება. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ამოღებული თანხა შევა გაკოტრების მასაში და კანონით განსაზღვრული რიგითობით, განაწილდება კრედიტორებს შორის, მათ შორის - იმ კრედიტორებს შორის, რომლებსაც წარმოადგენენ ადვოკატი „ვ“ და ადვოკატი - „კ“ (ეს უკანასკნელი პრიორიტეტით მე-6 და მე-7 რიგის კრედიტორებს წარმოადგენენ, ხოლო ადვოკატი - „ვ“ მე-4 რიგის კრედიტორს). შესაბამისად, კრედიტორების ინტერესში შედის, რომ შპს „ი“ - ს სარჩელი დაკმაყოფილდეს, გაკოტრების მასაში შევიდეს მეტი თანხა, რათა კრედიტორებმა, მაქსიმალურად შეძლონ მოთხოვნის დაკმაყოფილება. შპს „ი“-ს შპს „ს“-ს სასამართლო დავაში შესაბამისი მხარეების წარმომადგენლებად, სხვა წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობდნენ: შპს „ი“-ს მხარეს ადვოკატი „ვ“, ხოლო შპს „ს“-ს მხარეს - ადვოკატი „კ“ (ანუ ეს უკანასკნელი გაკოტრების მასის გაზრდის /შევსების საწინააღმდეგო პოზიციაზეა - ეწინააღმდეგება რა მის დაკმაყოფილება). შპს „ი“-ს მიერ შპს „ს“-ს წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემდეგ, ზემოხსენებული 5 კრედიტორიდან, რომელთაც წარმოადგენს

ადვოკატი „კ“, ერთ-ერთმა კრედიტორმა, საკუთარი მოთხოვნის ნაწილი (შპს „ს“-სმოთხოვნის გაქვითვის იმედით) დაუთმო შპს „ს“-ს, შესაბამისად შპს „ს“ ამავდროულად გახა შპს „ი“-ს ერთ-ერთი კრედიტორი, რომელსაც სხვა 5 კრედიტორთან ერთად წარმოადგენს ადვოკატი „კ“.

არღვევს თუ არა ადვოკატი „ვ“ ადვოკატის ეთიკის კოდექსს, როდესაც ერთი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში არის შპს „ი“-ს კრედიტორის წარმომადგენელიც და იმავდროულად შპს „ი“-ს წარმომადგენელი ამ უკანასკნელის მიერ შპს „ს“-ს წინააღმდეგ აღძრულ სარჩელთან დაკავშირებით?

არღვევს თუ არა ადვოკატი „კ“ ადვოკატის ეთიკის კოდექსს, როდესაც ერთი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში არის შპს „ი“-ს კრედიტორის, მათ შორის შპს „ს“-სწარმომადგენელიც და იმავდროულად შპს „ს“ - ს წარმომადგენელი მის მიერ შპს „ი“ - სმიერ აღძრულ სარჩელთან დაკავშირებით?

II ანალიზი:

ადვოკატის შეკითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური ფაქტები განსახილველია ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით.

> ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.1)
>
> ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც: ა)ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე; და ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 6.2).

„კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ-ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესს“ (ეთიკის კომისიის 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე №015/10).

„ინტერესთა კონფლიქტი არის ადვოკატის დამოუკიდებლობის დაკარგვის კერძო შემთხვევა, როდესაც ხდება სხვადასხვა ინტერესების დაპირისპირება, რომელიც ხელს უშლის კლიენტის ერთგულად მომსახურებას, ან არსებობს სხვა არსებული ან ყოფილი კლიენტების მიმართ ვალდებულებების დარღვევის საფრთხე“ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება საქმე N159/18, 29.10.2019).

მოცემულ შემთხვევაში, კითხვა აღწერს ორი ადვოკატის ქმედებას, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კომპანიის გადახდისუუნარობის საქმეში, როგორც მისი კრედიტორების წარმომადგენლები.

კერძოდ, ადვოკატი „ვ“ და ადვოკატი „კ“ კომპანიია „ი“-ს გადახდისუუნარობის საქმეში წარმოადგენენ კომპანიის სხვადასხვა კრედიტორებს. გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას, კომპანია „ი“-მ, საკუთარი კაპიტალის გაზრდის მიზნით, რაც საბოლოო ჯამში გაკოტრების მასის ზრდასა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა, სარჩელით მიმართა სასამართლოს კომპანია „ს“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის დავალიანების თანხის დაკისრება.

დავაში კოპანია „ი“-ს ინტერესებს, სხვა წარმომადგენლებთან ერთად, იცავს ადვოკატი „ვ“, რაც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიზნებიდან გამომდინარე ლოგიკურ თანხვედრაშია, „ვ“-ს მიერ წარმოდგენილი კრედიტორების ინტერესებთან, რადგან სასმართლო პროცესის „ი“-ს სასარგებლოდ გადაწყვეტა, გაზრდის „ვ“-ს მიერ წარმოდგენილი კრედიტორების ფინანსურად სრულფასოვანი დაკმაყოფილების შესაძლებლობას. შესაბამისად, აღნიშნულ დავაში ადვოკატი „ვ“ პირდაპირი გაგებით, როგორც კოპანია „ი“-ს ინტერესების დამცველად არ უნდა იქნეს მიჩნეული, არამედ დავაში, მის მიერ გადახდისუუნარობის საქმეში მონაწილე კრედიტორების ინტერესებისთვის მონაწილე სუბიექტად.

ანალოგიური მიმართებაა ადვოკატ „კ“-ს მიერ წარმოდგენილი კრედიტორების ინტერესებსა და კომპანია „ი“-ს გაკოტრების მასის ზრდას, რაც თავის მხრივ კომპანია „ი“-ს სასარჩელო მოთხოვნის წარმატების ხარისხზე პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, ადვოკატი “კ“, რომელიც იცავს იმ კომპანიის კრედიტორების ინტერესებს, რომლის გაკოტრების მასის ზრდა, კომპანია „ს“-ს წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის დაკმაყოფილებაზეა დამოკიდებული, იმავე დავაში წარმოადგენს კომპანია „ს“-ს ინტერესებს, რაც ცალსახად გულისხმობს, მოსარჩელე კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგო პოზიციის დაჭერას და კომპანია „ი“-ს გადახდისუუნარობის საქმეში ადვოკატის მიერ წარმოდგენილი კრედიტორების ფინანსურად სრულყოფილი დაკმაყოფილების შესაძლებლობის ხარისხის შემცირებას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი „კ“-ს მიერ კრედიტორებისთვის და კომპანია „ს“-სთვის გასაწევი საადვოკატო მომსახურეობის შინაარსი სხვადასხვაა, საქმის შედეგები ერთმანეთთან არიან დაკავშრებული. სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე პირდაპირ აარის დამოკიდებული გაიზრდება თუ არა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების პროცეში მყოფი კომპანიის გაკოტრების მასა, რომელიც თავის მხრივ გაზრდის მისი კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების ალბათობას. შესაბამისად, კითხვაში აღწერილი ფაქტებთ, სხვა გარემოებების არ არსებობის შემთხვევაში, როგრიცაა კლიენტთა ინტერესების თანხვედრა კომპანია „ს“-ს ინტერესებთან და ინფორმირებული თანხმობა ადვოკატისთვის, ადვოკატ „კ“-ს კომპანია „ს“-ს ინტერესების დაცვისას წარმოეშობა ინტერესთა კონფლიქტი.

III დასკვნა:

ადვოკატს „ვ“-ს კომპანია „ი“-ს ინტერესების დაცვივსას არ წარმოეშვება ინტერესთა კონფლიქტი, რადგან ის კომპანია „ი“-ს წარმოადგენს დავაში, რომლის, კომპანია „ი“-ს სასარგებლოდ გადაწყვეტის შემთხვევაშიც, ადვოკატი „ვ“-ს კლიენტებს -კომპანია „ი“-ს კრედიტორებს გადახდისუუნარობის საქმეში, გაეზრდებათ შესაძლებლობა სრულფასოვნად დაიკმაყოფილონ თავიანთი ფინანსური მოთხოვნები.

ადვოკატს „კ“-ს კომპანია „ს“-ს ინტერესების დაცვივსას წარმოეშობა ინტერესთა კონფლიქტი, რადგან ის კომპანია“ „ს“-ს წარმოადგენს დავაში, რომლის, კომპანია „ს“-ს სასარგებლოდ გადაწყვეტის შემთხვევაში, ადვოკატი „კ“-ს კლიენტებს, კომპანია „ი“-ს კრედიტორებს, შეუმცირდებათ შესაძლებლობა სრულფასოვნად დაიკმაყოფილონ თავიანთი ფინანსური მოთხოვნები.

შენიშვნა: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/